საჯარო მოსამსახურეების, ადამიანის უფლებადამცველებისა და პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების **შესახებ გაკეთებული საჯარო განცხადებების ანალიზი**

(დამატებითი მონიტორინგის ანგარიში)

Media Institute
მედიის ინსტიტუტი

საჯარო მოსამსახურეების, ადამიანის უფლებადამცველებისა და პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების შესახებ გაკეთებული საჯარო განცხადებების ანალიზი

(დამატებითი მონიტორინგის ანგარიში)

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფიკო ბებერაშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 1

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებზე რეაგირება 2

საჯარო სექტორში დასაქმებული პირების გამოხატვის თავისუფლებაზე რეაგირება..... 8

პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა შესახებ გაკეთებული განცხადებები 11

შესავალი

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში **საჯარო მოსამსახურეების** მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობაზე რეაგირების მექანიზმად პარტია „ქართული ოცნება“ მათ გათავისუფლებას იყენებს. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ წევრები საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მიერ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში გავრცელებულ განცხადებებს უარყოფითი დამოკიდებულებით, მუქარით ეხმიანებოდნენ და მათ ქმედებას *საბოტაჟად, „სახელმწიფოს წინააღმდეგ წასვლად“* აკვალიფიცირებდნენ.

პარტია „ქართული ოცნება“ **სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების,** მედია ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებადამცველების მიმართ მრავალმხრივ დევნას ახორციელებს, რაც გამოიხატება როგორც მასტიგმატიზებელი და მადისკრედიტირებელი კამპანიის აქტიურ წარმოებაში, ასევე *რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების მიღებასა და აღსრულებაში,* რითაც მათი საქმიანობის შეწყვეტასა და კრიტიკული ხმის ჩახშობას ცდილობს.

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ აქტიურად ახორციელებს **პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების** დისკრედიტაციასაც მათ შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებითა და უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევით, რისთვისაც როგორც საჯარო განცხადებებს, ასევე „იმედისა“ და „POSTV-ანალიტიკის“ სოციალური ქსელების გვერდებს იყენებს.

პროტესტში ჩართული პირების მიმართ მომხდარი უფლებადარღვევების უგულებელყოფა „ქართული ოცნების“ მიდგომების, *პოლიტიკის გაცხადებულ ნაწილად იქცა,* რასაც პარტიის

წევრები კოორდინირებულად - საჯარო განცხადებებით, არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების ირიბი/პირდაპირი მხარდაჭერითა და დახმარებით, პროპაგანდისტული მედიების მეშვეობით დეზინფორმაციის გავრცელებითა და მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოებით - **დღემდე აქტიურად ახორციელებენ**.

▼ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებზე რეაგირება

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადამიანის უფლებადამცველები პარტია „ქართული ოცნების“ სამიზნეებს ყოველთვის წარმოადგენდნენ, თუმცა დევნისა და სტიგმატიზაციის განსაკუთრებულ ობიექტებად 2023 წელს *„რუსული კანონის“* მიღების მცდელობითა და 2024 წელს აღნიშნული კანონის, 2025 წელს კი ე.წ. *„FARA-ს“* მიღებითა და *„გრანტების შესახებ“* საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანით იქცნენ.

პარტია „ქართული ოცნება“ 2024 წელს რეაგირებას არ ახდენდა და სამოქალაქო აქტივისტების, ადამიანის უფლებადამცველების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და „რუსული კანონის“ სხვა მოწინააღმდეგეთა დევნისთვის - პარტიის კონკრეტული წარმომადგენლების ჩართულობით ან/და ორგანიზატორობით თავადვე აქტიურად იყენებდა *სატელეფონო მუქარებს*, *ფიზიკურ ძალადობას, კერძო საკუთრების დაზიანებისა*[1] და *ძალადობის წახალისების მექანიზმებს.*

პროტესტის მონაწილეებთან და მათი ოჯახის წევრებთან *(მათ შორის, არასრულწლოვნებთან)* მუქარის, გინებისა და სხვა შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი ფრაზების შემცველი **სატელეფონო ზარების** განხორციელების ორგანიზებული კამპანია 2024 წლის 7 მაისს დაიწყო[2] და მასში „საქართველოს პარლამენტის დეპუტატი“ და „ქართული ოცნების“ წევრი <u>დიმიტრი სამხარაძეც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას</u>[3]. ნიშანდობლივია, რომ *პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა* სატელეფონო ზარების ადრესატების მომართვის საფუძველზე დაწყებული მოკვლევა მონაცემების სახელმწიფო ბაზაზე შესაძლო წვდომის შედეგად მოპოვების გამოკვლევის

---

[1] „რადიო თავისუფლება“, *„ასობით ადამიანს დაურეკეს მუქარის შემცველი ზარით - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური“*, 24.05.2024; იხ. <u>ბმული;</u> „რადიო თავისუფლება“, *„8 მაისის თავდასხმებზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო“*, 09.05.2024; იხ. <u>ბმული;</u> „რადიო თავისუფლება“, *„პოსტერები ოფისების და სახლების კედლებზე, წარწერები მანქანებზე - თბილისში სიძულვილის ახალი კამპანია დაიწყო“*, 09.05.2024; იხ. <u>ბმული</u> [01.10.2025].

[2] „რადიო თავისუფლება“, *„აგენტების კანონის“ მოწინააღმდეგეებს დღესაც ურეკავენ, თუმცა უკვე ქართული ნომრებიდან“*, 08.05.2024; იხ. <u>ბმული;</u> „რადიო თავისუფლება“, *„ზარი 11 წლის ლილესთან, 16 წლის კესოსთან, 13 წლის გოგოსთან, 10 წლის ბიჭთან - რატომ რეკავენ ბავშვებთან?“*, 10.05.2024; იხ. <u>ბმული</u> [01.10.2025].

[3] „ფორმულა“, *„ოცნების დეპუტატი სამხარაძე ახალგაზრდებს ურეკავს, აგინებს და ემუქრება“*, 10.05.2024; იხ. <u>ბმული</u> [01.10.2025].

გარეშე, დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით შეწყვიტა და მიღებული განცხადებები რეაგირების მიზნით საქართველოს პროკურატურას გადაუგზავნა.[4]

სატელეფონო მუქარების მსგავსად, არ გამოძიებულა[5] *საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა*[6] და მედიის წარმომადგენლების მიმართ **განხორციელებული დევნის სხვა ფორმებიც** - სახლებისა თუ ოფისების ფასადებზე, ავტომობილებზე შეურაცხმყოფელი პოსტერების, წარწერებისა და ე.წ. სტენსილების განთავსება.[7] მეტიც, რიგ შემთხვევებში „ქართული ოცნების" წევრები თავადვე იყვნენ ჩართულები ზემოაღნიშნული *კამპანიის ორგანიზებაში* - 2024 წლის 31 მაისს „ქართული ოცნების" წევრმა დიმიტრი სამხარაძემ[8] სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" განათავსა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ოფისების დაზიანების ამსახველი ვიდეოები, რომელსაც თან ერთვოდა მუქარის შემცველი ტექსტი.[9] აღნიშნული და ღიად წარმოებული დევნის სხვა შემთხვევები „ქართულმა ოცნებამ" შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვა.

2024 წლის 11 ივნისს „ქართული ოცნების" წევრმა და „პარლამენტის თავმჯდომარემ", შალვა პაპუაშვილმა,[10] *„ორგანიზებული და პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის კამპანიის"* წარმოებაში დაადანაშაულა სამოქალაქო აქტივისტი ზუკა ბერძენიშვილი, რომელსაც შალვა პაპუაშვილის მიერ საჯარო პოსტის სოციალურ ქსელში განთავსებიდან დაახლოებით ერთ საათში ფიზიკურად გაუსწორდნენ.[11] აღნიშნული, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს „ქართული ოცნების" წევრების მიერ *ძალადობის პირდაპირი ფორმებით წახალისებას*, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის გონივრულ ეჭვს როგორც შალვა პაპუაშვილის ე.წ. პოსტსა და მოძალადეების ქმედებებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ, ასევე ზოგადად პარტიის მიერ არაფორმალური ძალადობრივი დაჯგუფებების მხარდაჭერსა და მათ შორის არსებულ კავშირებზე.

---

[4] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2024). *„საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ"*, გვ. 19. იხ. ბმული; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, განცხადებების ველი, *„განცხადება მოქალაქეებთან სატელეფონო ზარების განხორციელების შესახებ"*, 24.05.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[5] საქართველოს სახალხო დამცველი (2025). საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში *„საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"*, გვ. 79. იხ. ბმული [27.09.2025].

[6] International Federation for Human Rights (FIDH), Statement, *"Georgia : Serious deterioration of the situation of human rights defenders"*, 26.06.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[7] „რადიო თავისუფლება", *„შეიძლება ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ" - არასამთავრობოების ოფისებზე ისევ გაჩნდა მუქარის წარწერები"*, 31.05.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[8] „რადიო თავისუფლება", *„მტკიცებულებაა, რომ ამ ქმედებების უკან დიმიტრი სამხარაძე დგას - საიას თავმჯდომარე"*, 31.05.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[9] იქვე.

[10] სოციალური ქსელი „ფეისბუქი", გვერდის „შალვა პაპუაშვილი • Shalva Papuashvili" ე.წ. პოსტი, 11.06.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[11] „რადიო თავისუფლება", *„სამოქალაქო აქტივისტს ზუკა ბერძენიშვილს თავს დაესხნენ"*, 11.06.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

„ქართული ოცნება“ რეაგირებას არ ახდენდა არც **2024 წლის საპარლამენტო არჩევნების** დღეს დამკვირვებლებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის, საარჩევნო უბნიდან გაძევების, მუქარის ან/და ზეწოლის ფაქტებზე, პირიქით - პარტიის კოორდინატორებისა და წარმომადგენლების, საჯარო მოსამსახურეების, ცრუ სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებისა და სხვა არაუფლებამოსილი პირების[12] მეშვეობით ახორციელებდა/ხელს უწყობდა სხვადასხვა ფორმის უფლებადარღვევას, *მაგალითად,* სხვის ნაცვლად ხმის მიცემას, მრავალჯერად ხმის მიცემას, მარკირების პროცედურის წესის დარღვევას, არასათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტით ხმის მიცემას, ხმის ფარულობის დარღვევას და ა.შ.

„ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ *მადისკრედიტირებელ კამპანიასაც* იყენებს, რომელიც ძირითადად მათ სტიგმატიზაციას, შეურაცხმყოფელ მიმართვებსა და დეზინფორმაციის გავრცელებას მოიცავს.

„ქართული ოცნების“ წევრები არასამთავრობო ორგანიზაციებს *„რადიკალური ოპოზიციის“* მოკავშირეებად, *„აგენტებად“* მოიხსენიებენ. მათი განცხადებით, ისინი თანხებს *„ხალხის მიერ ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლებების დასამხობად“,* „რევოლუციური მცდელობებისთვის“, „ძალადობრივი დემონსტრაციებისთვის“, „სიძულვილის გაღვივების და სამოქალაქო უთანხმოების შემოტანისთვის“, *„ძალადობის წახალისებისთვის“* იყენებენ და *„კონკრეტული ქვეყნის დაკვეთას ასრულებენ“,*[13] რაც <u>საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა</u> და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების <u>დისკრედიტაციას</u> ემსახურება. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ 2023 წლიდან იყენებს ტერმინს *„აგენტი“,* რომლითაც საბჭოთა კავშირში „ხალხის გამომჟღავნებულ მტრებთან“ კავშირის მქონე პირებს, შემდგომში რეპრესიების მსხვერპლებს, მოიხსენიებდნენ.

2025 წლის 17 მარტს რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის/საქველმოქმედო ფონდის საბანკო ანგარიშები საბოტაჟის ბრალდებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაყადაღდა, 29 აპრილს კი აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ბინებში/ოფისებში **თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები** ჩატარდა.[14] **საბანკო ანგარიშების დაყადაღებასთან** დაკავშირებით პროკურატურის მიერ გაკეთებული განცხადების თანხმად, ფონდების მიერ

---

[12] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2025). *„საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში“*, გვ. 43-46. იხ. <u>ბმული</u> [28.09.2025].

[13] Imedinews.ge, *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 03.02.2025, იხ. <u>ბმული</u>; 24.02.2025, იხ. <u>ბმული</u>; 14.04.2025, იხ. <u>ბმული</u>; იხ. <u>ბმული</u>; *კახა კალაძის განცხადება,* 08.04.2025, იხ. <u>ბმული</u>; 01.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; *ირაკლი ზარქუას განცხადება,* 20.06.2025, იხ. <u>ბმული</u> [07.10.2025].

[14] მედიის ინსტიტუტი (2025), *„ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ თვითნებური საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელებული დევნა“*, გვ. 3. იხ. <u>ბმული</u> [07.10.2025].

შეგროვებული ფულის ძირითადი ნაწილი *ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა* და მასში მონაწილეობის ფაქტზე *ბრალდებული პირების,* მათი ოჯახის წევრების ფინანსურ უზრუნველყოფასა და ძალადობრივი ქმედებების დაფინანსებას ხმარდებოდა. ანგარიშების დაყადაღების საკითხზე განცხადება გააკეთა მამუკა მდინარაძემ და აღნიშნა, რომ ფონდების მიზანს ძალადობის წახალისება და *„სახელმწიფოს ფუნქციის გაუქმება“* წარმოადგენდა, რაც „ე.წ. „მორალური“ შეფარვითი ფორმით სამშობლოს წინააღმდეგ გალაშქრება“ იყო. ნინო წილოსანის განცხადებით დაყადაღებული ორგანიზაციები და ფონდები „ქველმოქმედების შეფუთვით აკეთებდნენ რევოლუციებს“, კახა კალაძემ კი აღნიშნა, რომ ორგანიზაციების თანხები *ქვეყნის დანგრევაში და სახელმწიფოსთვის პრობლემების შექმნაში* იხარჯებოდა. მსგავსი განცხადებები გააკეთეს „ქართული ოცნების“ სხვა წევრებმაც, რომლებთან ერთადაც ტელეკომპანია „იმედი“ აქტიურად ახორციელებდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ფონდების დისკრედიტაციას და მათ *„რადიკალიზმის სპონსორებად“* მოიხსენიებდა.[15]

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ფონდების წარმომადგენლების ბინებსა და ოფისებში საგამოძიებო მოქმედებები **არაერთი პროცედურული ნორმის დარღვევით წარიმართა.**[16] მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შალვა პაპუაშვილის განცხადებით ჩხრეკები *„კანონიერი პროცედურების შესაბამისად“* მიმდინარეობდა. ალექსანდრე დარახველიძემ სამოქალაქო ორგანიზაციების/ფონდების წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას „კანონით ნაკისრი ვალდებულება“ უწოდა და აღნიშნა, რომ *„პოლიცია იყო იმ რაოდენობით მობილიზებული, რაც აუცილებელი იყო ამ ღონისძიების უსაფრთხოდ ჩასატარებლად“.* „ქართული ოცნების“ წევრისა და *„საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის“,* ირაკლი კირცხალიას განცხადებით, ის *„ვითომ ფონდები და ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები“,* რომლებშიც ჩხრეკისა და ამოღების მოქმედებები ჩატარდა, პოლიციელის, შენობების დაწვასა და სახელმწიფო გადატრიალებას აფინანსებდნენ. „პარლამენტის წევრმა“ ლევან მახაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფონდების საქმიანობა პირდაპირ უკავშირდებოდა *დანაშაულის წახალისებას და დანაშაულში დახმარებას,* ამიტომ არ იყო გასაკვირი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მათ წინააღმდეგ შესაბამისი ქმედებების ჩატარება.[17] ნიშანდობლივია, რომ პარტია „ქართულ

---

[15] Imedinews.ge, *პროკურატურის განცხადება,* 17.03.2025, იხ. ბმული; *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 17.03.2025, იხ. ბმული; *ნინო წილოსანის განცხადება,* 18.03.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 20.03.2025, იხ. ბმული; *„ქველმოქმედებით შენიღბული ფონდები - რადიკალიზმის სპონსორებს საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს“,* 23.03.2025, იხ. ბმული; *დავით მათიკაშვილის განცხადება,* 18.03.2025, იხ. ბმული; *ეკა სეფაშვილის განცხადება,* 18.03.2025, იხ. ბმული; *ვლადიმერ ბოჟაძის განცხადება,* 19.03.2025, იხ. ბმული; *არჩილ გორდულაძის განცხადება,* 20.03.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[16] მედიის ინსტიტუტი (2025), *„ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ თვითნებური საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელებული დევნა“,* გვ. 4. იხ. ბმული [07.10.2025].

[17] Imedinews.ge, *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 29.04.2025, იხ. ბმული; *ალექსანდრე დარახველიძის განცხადება,* 30.04.2025, იხ. ბმული; *ირაკლი კირცხალიას განცხადება,* 29.04.2025, იხ. ბმული; *ლევან მახაშვილის განცხადება,* 30.04.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

ოცნებას“ დღემდე არ მოუხდენია შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება იმ პირების მიმართ, რომლებიც თვითნებური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პროცედურული ნორმების დარღვევაში იყვნენ ჩართული.

2025 წლის 17-19 ივნისს „ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა“ რაჟდენ კუპრაშვილმა სასამართლოს განჩინებით **7 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან** (23 ივნისს კი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისგან) *სამართლებრივი, პერსონალური, ფინანსური და ტექნიკური ინფორმაციის* წარდგენა მოითხოვა, რითაც მიღებული თვითნებური საკანონმდებლო ცვლილებების სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ აღსრულება დაიწყო. რაჟდენ კუპრაშვილის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოთხოვნილი ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაცია **არ სცდებოდა კანონით დადგენილ ფარგლებს** და *„მიმართული იყო მხოლოდ გრანტების მიმღები ან პოლიტიკური აქტივობის მქონე ორგანიზაციების საქმიანობის მიზნობრიობის შესწავლისკენ“*.[18] ირაკლი ზარქუას განცხადებით, მათ ჰქონდათ *„გონივრული ეჭვი, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურებიან არა ხალხის, საზოგადოების ინტერესებს, არამედ კონკრეტული ქვეყნის დაკვეთას“*.[19] ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გასაჩივრებული ზემოაღნიშნული სასამართლო განჩინებები **სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა**, რაც „ქართული ოცნების“ წევრების, რაჟდენ კუპრაშვილისა და სასამართლოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებულ დევნაზე მეტყველებს.

2025 წლის 15-20 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მოქმედება რეპრესიული **„FARA-ს“ დარღვევის საფუძვლით** წერილების გაგზავნით განაგრძო და ორგანიზაციებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება“ უფლებადამცველი ორგანიზაციების დევნისთვის ერთდროულად რამდენიმე რეპრესიულ მექანიზმს იყენებს. 2025 წლის 27 აგვისტოს **7 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები** ე.წ. „პირბადეების“ საქმის გამოძიების ფარგლებში *ბინტის, სპირტის, საწვიმრების, პირბადეების, რესპირატორების შეძენის* მიზეზით დააყადაღეს, მოგვიანებით კი აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები გამოკითხვაზე დაიბარეს.[20]

---

[18] „პუბლიკა“, *„ISFED: ბიურო ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას „სამართლიანი არჩევნებისგანაც“ ითხოვს - გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს“*, 23.06.2025, იხ. ბმული; *„კუპრაშვილის განცხადებით, ორგანიზაციებიდან ინფორმაცია გაცხადებული პოლიტიკური სუბიექტების გამოსავლენად გამოითხოვეს“*, 18.06.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[19] Imedinews.ge, *ირაკლი ზარქუას განცხადება*, 20.06.2025, იხ. ბმული; *„ქრონიკის“ სიუჟეტი*, 21.06.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[20] „რადიო თავისუფლება“, *„ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციებს კვლავ გაუგზავნა წერილი“*, 15.08.2025, იხ. ბმული; *„შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადეს“*, 27.08.2025, იხ. ბმული; 28.08.2025, იხ. ბმული; „პუბლიკა“, *„პროკურატურის ცნობით, „პირბადეების საქმეზე“ გამოკითხვის მიზნით NGO-ების ხელმძღვანელები დაიბარეს“*, 01.09.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

ორგანიზაციების ანგარიშების დაყადაღების საკითხზე „ქართული ოცნების“ წევრები დღემდე აქტიურად ავრცელებენ **დეზინფორმაციას** და აწარმოებენ მადისკრედიტირებელ კამპანიას. „პარლამენტის წევრ“ ლევან მაჭავარიანის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები აქციის მონაწილეებს აწვდიდნენ შეიარაღებას: *აალებად ნივთიერებებს, პიროტექნიკას, „მოლოტოვის კოქტეილებს“,* რაც მისი აზრით, საბოტაჟის გამოკვეთილ ნიშნებს შეიცავს, ირაკლი ზარქუას აზრით კი, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსები *„რევოლუციური სცენარის რეალიზაციისთვის“* და *„ძალადობისთვის ეკიპირების შესაძენად“* იხარჯებოდა. კახა კალაძის განცხადებით, „მხოლოდ პირბადეებისა და სათვალეების შესყიდვით“ ეს ყველაფერი ვერ შეიფუთებოდა, ვინაიდან *„ქვეყანაში არეულობის მოწყობის მცდელობა, ექსტრემიზმის დაფინანსება, საზოგადოების გახლეჩის, დაპირისპირების დაფინანსება“* დაყადაღებული ორგანიზაციების გავლით გარედან მოდიოდა. დავით მათიკაშვილის თქმით, სამოქალაქო ორგანიზაციას ე.წ. „წიწაკის სპრეი“ „პოლიციელის, სახელმწიფოს კონკრეტული თანამდებობის პირის წინააღმდეგ გამოსაყენებლად“ სჭირდებოდა და ამ ყველაფრის მიზანი *„დესტრუქცია, ხელისუფლების აყირავება და აგენტურის დაბრუნება“* იყო. „პარლამენტის დეპუტატ“ თენგიზ შარმანაშვილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები *„ყიდულობდნენ ათასგვარ ატრიბუტიკას, ურიგებდნენ მომიტინგეებს* და *აქეზებდნენ, რომ ძალადობრივი აქციები განეხორციელებინათ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და შენობების წინააღმდეგაც კი“.* ლევან მახაშვილის განცხადებით, სამწუხარო იყო, რომ ორგანიზაციები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთების ნაცვლად *„პირდაპირ პოლიტიკურ, რევოლუციურ პროცესებში“* იყვნენ ჩართული.[21]

„ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოების დევნას სხვადასხვა რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე დღემდე აქტიურად აგრძელებს - 8 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით 35-ამდე სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო წერილი მიღებული გრანტების შესახებ დაწყებული მონიტორინგის თაობაზე.[22]

---

[21] Imedinews.ge, *პროკურატურის განცხადება,* იხ. ბმული; *ლევან მაჭავარიანის განცხადება,* 27.08.2025, იხ. ბმული; *ირაკლი ზარქუას განცხადება,* იხ. ბმული; *თენგიზ შარმანაშვილის განცხადება,* იხ. ბმული; *დავით მათიკაშვილის განცხადება,* 28.08.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 02.09.2025, იხ. ბმული; *ლევან მახაშვილის განცხადება,* 03.09.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[22] „პუბლიკა“, *„NGO-ები: „ოცნებამ“ ანტიკორუფციული ბიუროს ხელით რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო“,* 22.09.2025, იხ. ბმული; „ნეტგაზეთი“, *„არ გვიკვირს, რომ ჩვენი არსებობა საფრთხეა რეჟიმისთვის“ - GrlzWave-მა ანტიკორუფციულისგან წერილი მიიღო“,* 24.09.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„პლატფორმა „სალამი“: ანტიკორუფციულმა ბიურომ ჩვენ წინააღმდეგ რეპრესიული კანონის ამოქმედება დაიწყო“,* 25.09.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„რაჟდენ კუპრაშვილი „მთის ამბებისგან“ დოკუმენტებს ითხოვს“,* 26.09.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

▼ საჯარო სექტორში დასაქმებული პირების გამოხატვის თავისუფლებაზე რეაგირება

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებულმა საპროტესტო ტალღამ საჯარო სექტორში დასაქმებული პირებიც მოიცვა. 29-30 ნოემბერს სოციალურ ქსელებში სხვადასხვა **საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა** ერთობლივი განცხადებები გავრცელდა, რომლებშიც ხელმომწერები გმობდნენ ირაკლი კობახიძის განცხადებასა და მშვიდობიანი პროტესტის კანონსაწინააღმდეგო, არაპროპორციული ფორმებით დარბევას. საჯარო მოსამსახურეების მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა *მათი დევნის საფუძველი გახდა* როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი რეპრესიული ცვლილებებით, ასევე მასობრივი გათავისუფლებებით.

2024 წლის 30 ნოემბერს ქალაქ **თბილისის მერიის** თანამშრომლების ნაწილმა გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომელსაც კახა კალაძემ *„თვითლუსტრაცია“* უწოდა. მან აღნიშნა, რომ მერიაში რეორგანიზაცია ჰქონდათ გამოცხადებული და ბევრი ცვლილება, გადაადგილება იგეგმებოდა. მოგვიანებით კახა კალაძემ საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ გავრცელებულ განცხადებებს *„საჯარო მოხელეების საბოტაჟის გზით სახელმწიფო უწყებების ჩამოშლის მცდელობა“* უწოდა, რაც პასუხგაუცემელი არ დარჩებოდა, „დეპუტატმა“ ირაკლი ქადაგიშვილმა კი - *„საჯარო და სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის შეფერხება“.*[23] კახა კალაძე და მამუკა მდინარაძე ავრცელებდნენ ნარატივს, რომ ხდებოდა *„თანამშრომლების დაშანტაჟება, ბულინგი, რათა მათ რაღაცისთვის ხელი მოაწერათ ან არ მოეწერათ“.* კახა კალაძე ასევე აცხადებდა, რომ თბილისის მერიაში მიმდინარე *რეორგანიზაცია პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში არ იყო,* ვინაიდან ეს უკანასკნელი მანამდე ჰქონდათ გამოცხადებული.[24] 2024 წლის 25 დეკემბერს თბილისის მერიიდან დაიწყო იმ თანამშრომლების გათავისუფლება, რომლებმაც საჯაროდ გავრცელებულ განცხადებას მოაწერეს ხელი და აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საპროტესტო აქციებში. კახა კალაძე *პოლიტიკური ნიშნით ვიღაცის გათავისუფლებას „ტყუილსა და ჩვეულებრივ სპეკულაციას“* უწოდებდა, ხოლო კოლექტიურად, საჯარო სამსახურის სახელით მოსაზრების გამოხატვას.[25] - ძალიან მძიმეს, *კატეგორიულად მიუღებელს.* კახა კალაძემ

---

[23] Imedinews.ge, *„კახა კალაძე მერიის თანამშრომელთა ნაწილის განცხადებაზე: ეს მათი გადასაწყვეტია - ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს ღმერთმა“,* 01.12.2024, იხ. ბმული; *„კახა კალაძე: ადგილი ჰქონდა სახელმწიფო უწყებების ჩამოშლის მცდელობას, საჯარო მოხელეების საბოტაჟის გზით“,* 04.12.2024, იხ. ბმული; *ირაკლი ქადაგიშვილის განცხადება,* 10.12.2024, იხ. ბმული [06.10.2025].

[24] Imedinews.ge, *„კახა კალაძე: თბილისის მერიაში დაგეგმილი რეორგანიზაცია პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში არ არის, რადგან ის მანამდე გამოცხადდა“,* 11.12.2024, იხ. ბმული ; *„მამუკა მდინარაძე საჯარო მოხელეებს: პოლიტიკური ნიშნით ჩვენ ხალხს არ ვათავისუფლებთ. თუ ბულინგს ვერ უძლებთ, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რა გინდათ?! ნურც იმათი გეშინიათ, ჩვენ დაგიცავთ“,* 05.12.2024, იხ. ბმული [06.10.2025].

[25] Imedinews.ge, *„კახა კალაძე გიგა სოფრომაძის გათავისუფლებაზე: ის, რომ პოლიტიკური ნიშნით ვიღაც გათავისუფლდა, არის ტყუილი და სპეკულაცია“,* 27.12.2024, იხ. ბმული [06.10.2025].

სხვადასხვა განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ „ვინც გასაშვები იყო, ყველას გაუშვებდნენ“. ნიშანდობლივია, რომ მითითებული განცხადებების კვალდაკვალ რეორგანიზაციის თვითნებური გამოცხადებისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე მერიიდან არაერთი თანამშრომელი გათავისუფლდა.[26]

2024 წლის 26 დეკემბერს პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლების გათავისუფლებას განცხადებით გამოეხმაურა **პრობაციის ეროვნული სააგენტო** და აღნიშნულს დეზინფორმაცია უწოდა, ვინაიდან გათავისუფლებული თანამშრომლების ხელშეკრულებებს ვადა 31 დეკემბერს ეწურებოდა, *„ამ ვადის ავტომატურად გაგრძელების იურიდიული ვალდებულება“* კი არ არსებობდა.[27]

2025 წლის 21 იანვარს სსიპ **პარლამენტის კვლევითი ცენტრის** თანამშრომლებს დირექტორმა განუცხადა, რომ 5 თანამშრომლის საჯარო აქტიურობის მიზეზით მოხდებოდა ცენტრის ლიკვიდაცია, რაზეც განცხადება კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა იმავე დღეს გააკეთეს. მამუკა მდინარაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისთვის *წარმოუდგენელია რაღაცას აკეთებდეს, ხელფასს იღებდეს და თან, საიდანაც ხელფასს იღებს, იმ უწყებას ებრძოდეს.* მან ამორალური უწოდა ქმედებას, როდესაც თანამშრომელი მთელი დღის განმავლობაში შენობაში მუშაობს, შემდეგ კი გადის და *„პარლამენტს აქციიდან ებრძვის“.* მამუკა მდინარაძის აზრით, *ასეთ ადამიანს უნდა მოუწოდო, რომ თავად დატოვოს ასეთი „უბედური სამსახური“.*[28] კვლევითი ცენტრის ლიკვიდაციას „პარლამენტის დეპუტატი“ გურამ მაჭარაშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ როდესაც *„საჯარო მოხელე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიოდა, ეს არ იყო არც პოლიტიკური და არც არაპოლიტიკური საკითხი“,* ვინაიდან, მისი აზრით, *„საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, გამოვიდეს და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები აკეთოს“.*[29] ნიშანდობლივია, რომ შალვა პაპუაშვილმა კვლევითი ცენტრის ლიკვიდაცია ცენტრის *თავდაპირველი მიზნის ვერრეალიზებით ახსნა.*[30] პარტია „ქართულმა ოცნებამ“, პარლამენტის კვლევითი ცენტრის მსგავსად, ლიკვიდაციის მექანიზმი გამოიყენა **სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსთან** მიმართებითაც. საჯარო სამსახურის ბიუროს ყოფილი თანამშრომლების აზრით, ბიუროს ლიკვიდაცია საჯარო სამსახურში *კრიტიკული აზრის ჩახშობას ემსახურებოდა.* საქართველოს

---

[26] Imedinews.ge, *„კახა კალაძე: როდის გაგიგიათ, რომ საპროტესტო აქციაზე დგომის გამო, ვინმე გაგვეშვას? საზოგადოებას და მითუმეტეს თანამშრომლებს არანაირი პოლიტიკური ნიშნით არ ვყოფთ“,* 13.01.2025, იხ. ბმული; მედიის ინსტიტუტი (2025), *„საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა“,* გვ. 7. იხ. ბმული [06.10.2025].

[27] იქვე, გვ. 5.; Imedinews.ge, *„პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლების თითქოსდა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე: ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. ცალკეული თანამშრომლებისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულებების ვადა იწურებოდა 31 დეკემბერს“,* 27.12.2024, იხ. ბმული [07.10.2025].

[28] Civil.ge, *„პარლამენტის კვლევითი ცენტრის თანამშრომლები პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობენ“,* 22.01.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *„მამუკა მდინარაძე პარლამენტის კვლევითი ცენტრის თანამშრომლების გათავისუფლებაზე“,* იხ. ბმული [07.10.2025].

[29] „ინტერპრესნიუსი“, *„გურამ მაჭარაშვილი - როცა საჯარო მოხელე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდის, ეს არ არის არც პოლიტიკური და არც არაპოლიტიკური საკითხი“,* 22.01.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[30] „ინტერპრესნიუსი“, *„10 მარტიდან პარლამენტის კვლევითი ცენტრი ლიკვიდირებულ იქნება“,* 03.02.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაცია *მართვის რაციონალიზაციის, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნითა* და ამ უკანასკნელისთვის არაერთი ფუნქციის გამოკლებით ახსნა.[31]

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ გავრცელებულ საერთო განცხადებას ნინო წილოსანი გამოეხმაურა, მათ *„ვითომ ევროკავშირს შეფიცული დიპლომატები“* უწოდა და თანამდებობების დატოვება ურჩია. მაკა ბოჭორიშვილის [32] განცხადებით, შემოდგომაზე დაწყებული პროცესი *(ერთობლივი განცხადებების გავრცელება)* საქართველოში საჯარო სამსახურისა და საგარეო უწყების ჩამოშლას ემსახურებოდა. მისი აზრით, არ არის სასურველი, რომ საჯარო მოხელე ბევრ თემაზე საჯაროდ საუბრობდეს, სწორედ ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაცია „ძალიან სწორი“ და „ძალიან საჭირო“ პროცესი იყო, რათა საგარეო უწყება დაკომპლექტებულიყო იმ ადამიანებით, რომლებიც *საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად მუშაობდნენ.* მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში 1 მაისს დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად არაერთი ისეთი თანამშრომელი გათავისუფლდა, რომლებიც გავრცელებულ საერთო განცხადებაზე ხელმომწერებს წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, განხორციელდა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ლიკვიდაცია, რაზეც მაკა ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ სპეკულაცია იყო *„ცენტრის ფუნქციების დაკარგვის“* შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, ვინაიდან აღნიშნულს ევროინტეგრაციის დეპარტამენტი შეითავსებდა, ლიკვიდაციის მიზანს კი *„ეფექტიანი საგარეო უწყების კარგი აპარატის“* შექმნა წარმოადგენდა, რომელიც საგარეო პოლიტიკურ მიზნებს უფრო ეფექტიანად განახორციელებდა.[33]

2024 წლის 16 დეკემბერს რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო **საარჩევნო ადმინისტრაციაშიც**, რომლის ფარგლებშიც, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) განცხადების თანახმად, დაკავებული პოზიციებიდან ძირითადად ის თანამშრომლები გაათავისუფლეს, რომლებმაც საჯაროდ დააფიქსირეს პოზიცია 2024 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მითითებულ განცხადებას ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელიც *„ცალსახად არსებული საჭიროებებიდან და*

---

[31] „ნეტგაზეთი“, *„იგეგმება საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაცია - ბიუროს თანამშრომლები“,* 03.02.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *„მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით აღარ იარსებებს“,* 03.02.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[32] „საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი“.

[33] Imedinews.ge, *ნინო წილოსანის განცხადება,* 29.11.2024, იხ. ბმული; *მაკა ბოჭორიშვილის განცხადება,* 10.07.2025, იხ. ბმული; *მაკა ბოჭორიშვილის განცხადება,* 05.06.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

გამოწვევებიდან გამომდინარეობდა“, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და უწყების დისკრედიტაციისთვის იყო გამოყენებული.[34]

საჯარო დაწესებულებებში თვითნებური რეორგანიზაციის პროცესებს ირაკლი კობახიძე განცხადებით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროსა და მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებული რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციით მილიონობით ლარი დაიზოგა, რაც ხელს შეუწყობდა, რომ კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებულიყო საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხი.[35]

საჯარო მოსამსახურეების გამოხატვის თავისუფლებაზე პარტია „ქართული ოცნების“ წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, რომ პარტია ეწინააღმდეგება საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მიერ განხვავებული პოზიციის დაფიქსირებას და ზემოაღნიშნულს *„საბოტაჟად“, „სახელმწიფოს წინააღმდეგ წასვლად“* წარმოაჩენს. ნიშანდობლივია ისიც, რომ საჯარო მოსამსახურეების გამოხატვის თავისუფლების უფლებაზე „ქართული ოცნების“ ერთგვარი „რეაგირება“ მხოლოდ სამსახურიდან კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების გათავისუფლებით არ შემოიფარგლება - გათავისუფლებული პირების უფლებების დარღვევა საერთო სასამართლოებისა და საქართველოს სახალხო დამცველის დონეზეც *საქმეთა განხილვის გაჭიანურებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმითა* და სხვა ფორმებით გრძელდება.

▼ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა შესახებ გაკეთებული განცხადებები

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროტესტის ფარგლებში პოლიტიკური ნიშნით 70-ამდე პირია დაკავებული/დაპატიმრებული, რომელთაც საზოგადოება „სინდისის პატიმრებად“ მოიხსენიებს. პარტია „ქართული ოცნება“ როგორც წევრების განცხადებებით, ასევე პროპაგანდისტული მედიების მეშვეობით დღემდე აქტიურად ახორციელებს აღნიშნული პირების მადისკრედიტირებელ კამპანიას, რომელიც ძირითადად **დეზინფორმაციის გავრცელებასა** და **უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას** მოიცავს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, პირები,

[34] Euronews Georgia, *„ცესკოდან გათავისუფლებული 6 თანამშრომლის საქმეზე ISFED-ი სასამართლოში სარჩელს შეიტანს“*, იხ. ბმული; Imedinews.ge, *„ცესკო: „სამართლიანი არჩევნები“ საარჩევნო ადმინისტრაციაში განხორციელებულ სტრუქტურულ რეორგანიზაციას უწყების დისკრედიტაციისთვის იყენებს“*, 23.01.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

[35] Imedinews.ge, *„პრემიერი: სახელმწიფო უწყებებსა და საწარმოებში ოპტიმიზაციის შედეგად მრავალი მლნ ლარის დაზოგვა შევძელით და ეს თანხა იმ პროექტებს მოხმარდება, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაზეა ორიენტირებული“*, 08.09.2025, იხ. ბმული [07.10.2025].

რომელთაც „სინდისის პატიმრებს“ უწოდებენ, *„სინამდვილეში, უსინდისო ქმედებების გამო არიან კონკრეტული ბრალის ქვეშ“*.[36] ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირები **„სინდისის მოძალადეებადაც“** მოიხსენიეს. [37] „ქართული ოცნების“ წევრები თავიანთ განცხადებებში [38] ასევე უგულებელყოფენ საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას - კახა კალაძის აზრით, საქართველოს არა პოლიტპატიმრები, არამედ *„პოლიტიკოსები ჰყავს, რომლებიც კონკრეტულ საქმეებში არიან დამნაშავეები“.*

„ქართული ოცნების“ წევრები სხვადასხვა მადისკრედიტირებელ განცხადებას კონკრეტულ პოლიტპატიმრებზეც აკეთებდნენ. *მაგალითად*, მამუკა მდინარაძემ მსახიობ **ანდრო ჭიჭინაძეს** *„მისი დეიდაშვილის, ელენე ხოშტარიას მსგავსად, რუსეთიდან დაფინანსებული“* უწოდა და თავდებში ჩადგომა შესთავაზა, რაც, მისივე განცხადებით, **უდანაშაულო ადამიანს არ სჭირდება**. ანდრო ჭიჭინაძის უდანაშაულობის პრეზუმცია მოგვიანებით ირაკლი კობახიძემაც დაარღვია - მსახიობი თავდასხმაში დაადანაშაულა და, მამუკა მდინარაძის მსგავსად, მანაც რუსულ ფილმში მონაწილეობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილი იყო.[39] ანდრო ჭიჭინაძისა და ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებული სხვა პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების უდანაშაულობის პრეზუმცია ასევე დაარღვია მამუკა მდინარაძემ. *„თქვენ რომ აქციაზე ადამიანს კლავდეთ და მე რომ მოგეხმაროთ, მე დამნაშავე არ ვარ, იმიტომ, რომ თქვენ არ გიცნობთ?“* - განაცხადა მან და პოლიტპატიმრები **ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში**, თანააღმსრულებლობასა და სხვა შესაძლო დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულა.[40]

პარტია „ქართული ოცნება“ მადისკრედიტირებელ კამპანიას დღემდე აქტიურად აწარმოებს „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის, ამჟამად პოლიტიკური პატიმრის, **მზია ამაღლობელის** წინააღმდეგ. „ქართული ოცნების“ წევრები მზია ამაღლობელისა და მისი დაკავების მიზეზების შესახებ ავრცელებდნენ როგორც *მცდარ ინფორმაციას*, ასევე სისტემატურად არღვევდნენ *უდანაშაულობის პრეზუმციას*. საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და მზია ამაღლობელის დისკრედიტაციის მიზნით სოზარ სუბარი,[41] მამუკა მდინარაძე, ირაკლი

---

[36] Imedinews.ge, *„ირაკლი კობახიძე: პატიმრები, რომლებსაც უწოდებენ სინდისის პატიმრებს, სინამდვილეში, უსინდისო ქმედებების გამო არიან კონკრეტული ბრალის ქვეშ“,* 15.08.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[37] Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 30.09.2025, იხ. ბმული; *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 01.10.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[38] Imedinews.ge, *ლევან მაჭავარიანის განცხადება,* 14.03.2025, იხ. ბმული; *ეკა სეფაშვილის განცხადება,* 12.06.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 03.10.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[39] Imedinews.ge, *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 20.01.2025, იხ. ბმული; 22.01.2025, იხ. ბმული; *„გიორგი გამსახურდია ანდრო ჭიჭინაძის მონაწილეობით რუსულ ფილმ „ნინაზე“ წერს“,* 20.01.2025, იხ. ბმული; „ფორმულა“, *„ჭიჭინაძე კობახიძეს: პირისპირ შეძლებ ჩემთან იგივეს გამეორებას, რაც გუშინ იკადრე? არამგონია“,* 17.04.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[40] „პუბლიკა“, *„რამდენიმე რჩევას მოგცემ“ - ანდრო ჭიჭინაძე მამუკა მდინარაძეს პასუხობს“,* 08.08.2025; იხ. ბმული [05.10.2025].

[41] „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე“.

კობახიძე, ირაკლი ზარქუა და პარტიის სხვა წევრები განცხადებებსა და ინტერვიუებში ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს მზია ამაღლობელმა **სტიკერი პოლიციელს ზურგზე მიაკრა** და ამიტომ მოხდა მისი ადმინისტრაციული წესით დაკავება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.[42] როგორც „ქართული ოცნების“ წევრები, ასევე პროპაგანდისტული ტელეკომპანიები და სოციალურ ქსელში არსებული სხვადასხვა გვერდები[43] მზია ამაღლობელის მიერ ქალაქ ბათუმის პოლიციის უფროსისთვის, ირაკლი დგებუაძისთვის, **სილის გაწვნას პოლიციელზე თავდასხმად, „სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად“** აფასებდნენ, რასაც, ერთი მხრივ, საზოგადოების დამოკიდებულებაზე გავლენის მოხდენის, ხოლო, მეორე მხრივ, წარდგენილი ბრალის გამართლების მიზანი შესაძლებელია ჰქონოდა. *მაგალითად,* გიორგი ვოლსკის განცხადებით, მზია ამაღლობელმა *„პოლიციელს შეურაცხყოფა არა მხოლოდ პირადი ანგარიშსწორების, არამედ **კონკრეტული მიზნით მიაყენა“*** დაძაბული ვითარების დროს კი *„პოლიციის მაღალჩინოსანზე ხელის გარტყმა მხოლოდ ხულიგნობის მუხლით განსახილველი არ იყო“.* [44] მზია ამაღლობელის დისკრედიტაციას ემსახურებოდა მისი **შიმშილობის შესახებ** „ქართული ოცნების“ წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც *„მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის სცენარად“, „ხელისუფლების მიმართ შანტაჟის იარაღად“* მოიხსენიებდნენ მზია ამაღლობელის მიერ საკვების მიღებაზე უარის თქმას და აცხადებდნენ, რომ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ *„მსხვერპლის არსებობის“* მიზნით აქეზებდა ჟურნალისტის მიერ შიმშილობის გაგრძელებას. [45] ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ასევე არღვევდნენ მზია ამაღლობელის **უდანაშაულობის პრეზუმციას** - მამუკა მდინარაძის განცხადებით, მზია ამაღლობელი „მოქმედებდა დავალებით“, რაც მოგვიანებით ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში ირაკლი კობახიძემაც გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ ნინო წილოსანმა მზია ამაღლობელის „დავალებით მოქმედების“ შესახებ გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას დაამატა დეტალები, რომ ჟურნალისტი *„დაკვეთით, ფულის გადახდით, დაქირავებით და აგენტურული საქმიანობის ფარგლებში“* მოქმედებდა. ნიშანდობლივია, რომ მზია ამაღლობელის ადვოკატების მიერ სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა,

---

[42] Imedinews.ge, *ირაკლი ზარქუას განცხადება,* 01.02.2025, იხ. ბმული; *დავით მათიკაშვილის განცხადება,* იხ. ბმული; „ბათუმელები“, *„მზია ამაღლობელმა გააკრა სტიკერი პოლიციელს ზურგზე“ – სოზარ სუბარი“,* 12.02.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„მზია ამაღლობელი კობახიძეს, მდინარაძეს და სუბარს ცილისწამებისთვის უჩივის“,* 07.05.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[43] მითების დეტექტორი (2025), *„მზია ამაღლობელი - ქართული ოცნების, პროსახელისუფლებო მედიისა და სხვა ანტიდასავლური აქტორების სამიზნე“,* იხ. ბმული [05.10.2025].

[44] Imedinews.ge, *არჩილ გორდულაძის განცხადება,* 12.01.2025, იხ. ბმული; *თორნიკე რიჟვაძის განცხადება,* 20.01.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 29.01.2025, იხ. ბმული; *გიორგი ვოლსკის განცხადება,* 14.01.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[45] Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 30.01.2025, იხ. ბმული; *დავით მათიკაშვილის განცხადება,* იხ. ბმული; *სოზარ სუბარის განცხადება,* 02.02.2025, იხ. ბმული; *მამუკა მდინარაძის განცხადება,* იხ. ბმული; *ლევან მაჭავარიანის განცხადება,* 04.02.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

დაკითხულიყვნენ ნინო წილოსანი და ირაკლი კობახიძე, მოსამართლე ნინო სახელაშვილმა არ დააკმაყოფილა.[46]

„ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის სამიზნე გახდა მასწავლებელი და აქტივისტი **ნინო დათაშვილი**, რომელიც სასამართლოს მანდატურზე „თავდასხმის“ ბრალდებით 2025 წლის 20 ივნისს დააკავეს. ნინო დათაშვილის დისკრედიტაციისთვის „ქართული ოცნება“ ძირითადად მის ჯანმრთელობის მდგომარეობას - ფსიქიკური შემოწმების „აუცილებლობას“ იყენებდა. დავით მათიკაშვილის განცხადებით, იმ ქმედებებმა, რომლებიც ხალხმა იხილა სასამართლოს დარბაზში თუ მის გარეთ, *„გარკვეული შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაზე“*, რითაც, ფაქტობრივად, პირდაპირ გაუსვა ხაზი ნინო დათაშვილისთვის ფსიქიატრიული შემოწმების ჩატარების „აუცილებლობას“.[47]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირები *(და მათი ოჯახის წევრები)* განაჩენის გამოცხადების შემდეგაც ხდებოდნენ „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ტელეკომპანიების, პირებისა თუ სოციალურ ქსელებში შექმნილი გვერდების/ჯგუფების მხრიდან დისკრედიტაციისა და დეზინფორმაციის ობიექტები. *მაგალითად,*[48] **მათე დევიძის** განაჩენის გამოცხადების შემდეგ ვრცელდებოდა ვიდეოკადრები, იდენტური წარწერით -*„როგორ ესხმის თავს ხელკეტით მათე დევიძე პოლიციას“.* ტელეკომპანიებმა „იმედმა“ და „POSTV-მ“ თავიანთ „ფეისბუქის“ გვერდებზე გაავრცელეს ვიდეო, რომელშიც თითქოს პოლიტპატიმარი **საბა ჯიქია** პოლიციელს თავს დანით ესხმის, რაც არ შეესაბამება სიმართლეს - ბრალდების მხარე საბა ჯიქიას პოლიციელისთვის ფეხის დარტყმას ედავებოდა. აღნიშნულ ფალსიფიცირებულ ვიდეოსთან ერთად „POSTV-ანალიტიკამ“ ასევე გაავრცელა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ილუსტრაცია, სადაც საბა ჯიქია დანით არის გამოსახული. მსგავსი ილუსტრაცია გავრცელდა პოლიტპატიმარ **ანრი კვარაცხელიას** გამოსახულებითაც, რომელსაც ხელში ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილი“ უჭირავს.

ნიშანდობლივია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე გამოუცხადებლობა ოპოზიციურად განწყობილი **პოლიტიკური პარტიის ლიდერების** დაკავების

---

[46] Imedinews.ge, *„მამუკა მდინარაძე მზია ამაღლობელზე: გმირად ნუ გამოვიყვანთ ქალბატონს, რომელიც დავალებით მოქმედებდა“*, 03.02.2025, იხ. ბმული; „ბათუმელები“, *„ირაკლი კობახიძე არღვევს მზია ამაღლობელის უდანაშაულობის პრეზუმფციას“ – ადვოკატი“*, 17.04.2025, იხ. ბმული; „პუბლიკა“, *„მოსამართლემ არ დაკმაყოფილა ამაღლობელის ადვოკატების შუამდგომლობები, დაკითხულიყვნენ კობახიძე და წილოსანი“,* 14.07.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[47] Imedinews.ge, *„დავით მათიკაშვილი ნინო დათაშვილის ექსპერტიზაზე: ეს ყველაფერი არის საგამოძიებო სტრუქტურების საქმე და ყველაფერი მიმდინარეობს იმ წესით, რა წესითაც სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის დადგენილი“,* 06.08.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[48] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2025), *„ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პროპაგანდისტული მედია, „ექსპერტები“ და ტროლები პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულების წინააღმდეგ,* იხ. ბმული [05.10.2025].

მექანიზმად გამოიყენა. მიუხედავად მათთვის პატიმრობის მისჯის პოლიტიკური მოტივებისა, „ქართული ოცნების“ წევრები ზურა ჯაფარიძეს, ნიკა გვარამიას, ნიკა მელიასა და გიორგი ვაშაძეს პოლიტპატიმრებად არ თვლიან, ვინაიდან ისინი *„დემონსტრაციულად არ მივიდნენ კომისიაზე“* და *„დემონსტრაციულად ჩაიდინეს დანაშაული“*.[49]

[49] „რადიო თავისუფლება“, *„გისოსებს მიღმა - როგორ მოხვდნენ ოპოზიციური პოლიტიკოსები ციხეში (ამჯერად)“,* 02.07.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 28.05.2025, იხ. ბმული; 17.07.2025, იხ. ბმული; *ნინო წილოსანის განცხადება,* 01.07.2025, იხ. ბმული [05.10.2025].